

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 18

თბილისი

1.09.2011

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრები:

კახი ყურაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, შპს - თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის სრული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;

ნინო ძოწენიძე - საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის აღმასრულებელი საბჭოს წევრი;

ანა კლდიაშვილი - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხელოვნების ისტორიის, რესტავრაციისა და თეორიის ფაკულტეტის სრული პროფესორი;

რუსუდან ტყეშელაშვილი - საქართველოს განმანათლებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;

კონსტანტინე ნანობაშვილი - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;

ლალი ღოდელიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სამშენებლო ფაკულტეტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი;

დავით კახნიაშვილი - საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, სკოლა „მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

დავით კერესელიძე - დირექტორის მოადგილე;

ნანა ჭილაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;

მარინე ჟვანია - საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის უფროსი;

რევაზ ხოფერია - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსის მოადგილე;

სალომე ფრუიძე - ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;

ბექა ძამაშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ნინო ბეგიაშვილი - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

ლიკა გიორგაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

ნინო ფურცხვანიძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

ლევან მადათოვი - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

ანა ბუჩუკური - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. შპს - ოზურგეთის სახელობო საგანმანათლებლო სასწავლებლის დირექტორი - ცილა ლეჟავა;

2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქო „წმინდა მიტროპოლიტ ნაზარი ლეჟავას სახელობის სამტრედიის მართლმადიდებლური სკოლის“ დირექტორი ნატო კოპალეიშვილი, დირექტორის მოადგილე ეკა კოპალეიშვილი;

3. შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულების დემირელის სახელობის კერძო კოლეჯის დირექტორი მეჰმედ სელიმ აიჰანი, დირექტორის მოადგილე თამარ წამალაიძე, მეთოდისტი ჯიჰან მერთი;

4. შპს - „ნუნუ ავაგუმაშვილის“ დირექტორი ნუნუ ავაგუმაშვილი;

5. შპს - სკოლა XXI საუკუნის (ს/კ 204418825) დირექტორი მარიამ ქუთათელაძე;

6. შპს - სკოლა XXI საუკუნის (ს/კ 212705438) დირექტორი ნატო რევიშვილი;

7. შპს - „განათლება XXI“-ის დირექტორი გონერი პაპავა;

8. შპს - „ერეკლეს“ დირექტორი ე. ჯიყაშვილი.

ავტორიზაციის ექსპერტები:

ქეთევან რეხვიაშვილი;

ნელი ნასყიდაშვილი;

რევაზ ნინუა;

ქეთევან ბოტკოველი;

მიხეილ ტეფნაძე.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 19:40 საათზე და შეამოწმა კვორუმის არსებობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულები“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

ვინაიდან სხდომას არ ესწრებოდა საბჭოს მდივანი, სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება დაეკისრა ანა კლდიაშვილს.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა

ა) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები:

- შპს - თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო ლიცეუმი;
- შპს - სკოლა „გიმნაზიის ყვავილი“;
- შპს - დიპლომატიური აკადემია და სკოლა;
- შპს - ვანის არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი სკოლა-ლიცეუმი;
- შპს - „იმედი-2000“;
- შპს - კერძო საშუალო სკოლა „ნათლის სვეტი“;
- შპს - საქართველოს ქართულ-ამერიკული საშუალო სკოლა „რებერ სქული“;
- შპს - ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის სახელობის ფრანგულ-ქართული კოლეჯი;
- შპს - მოსწავლე ახალგაზრდობის სახლთან არსებული პანსიონი „ცვლა“;
- შპს - კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა „სვეტი ნათლისა“;
- შპს - ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი;
- სპს - „მერი ტატიშვილი“;
- სპს - ჯანიაშვილისა და ნატროშვილის ფირმა „სანთელი“;
- შპს - კერძო სკოლა „დავითი“;
- შპს - ახალი საგანმანათლებლო ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ცენტრი;
- შპს - ორიენტირი;

- შპს - „სიხარული“;
- შპს - სამედიცინო ინსტიტუტი „პანაცეა“;
- შპს - „დასი“.

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები:

- შპს - „დეა“;
- შპს - „ალთერა კომუნიკეიშნ“;
- ა(ა)იპ - ტიხრული მინანქრის ტექნიკის შემსწავლელი კურსები;
- შპს - სილამაზის სტუდია - „მარდენი“;
- შპს - „ფლამინგო 2007“;
- ა(ა)იპ - „დემოკრატიის ინსტიტუტი“;
- შპს - „კამარა-კომპიუტერი“ /პს პარტნიორ პლას/;
- შპს - „იმიჯ-ცენტრი“;
- შპს - „სერმა-მენეჯმენტის სკოლა“;
- შპს - „დელტა სისტემსი“;
- შპს - იაკობ გოგებაშვილის სახელობის საგანმანათლებლო ცენტრი;
- შპს - შავნაზადას აკადემიის სახელობო ცენტრი;
- სს - „თამ“ თბილავიამშენი;
- შპს - „მილერი და კომპანია“;
- შპს - „აიეფდიემ სტაილი“;
- შპს - „ენ ელ ჯი - ჯგუფი“;
- შპს - თელავის დამოუკიდებელი პროფესიული მომზადების ცენტრი;
- შპს - ოზურგეთის პროფესიული სასწავლებელი;
- შპს - ოზურგეთის სახელობო საგანმანათლებლო სასწავლებელი;
- შპს - „E.S.R.-2008“;
- შპს - „დიმი ჯგუფი“;
- საზოგადოებრივი განვითარების კავშირი „კაბადონი“;
- შპს - თბილისის ს/მ აგროსაინჟინრო სერვისის ინსტიტუტი;
- შპს - „ქეზაი“.

2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქო „წმინდა მიტროპოლიტ ნაზარი ლეჟავას სახელობის სამტრედიის მართლმადიდებლური სკოლის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

3. შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულების დემირელის სახელობის კერძო კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

4. შპს - „ნუნუ ავაგუმაშვილის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

5. შპს - სკოლა XXI საუკუნის (ს/კ 204418825) ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

6. შპს - სკოლა XXI საუკუნის (ს/კ 212705438) ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

7. შპს - „განათლება XXI“-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

8. შპს - „ერეკლეს“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ ყოფილა. საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

1. საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა

ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის აკრედიტაციის სამმართველოს უფროსმა, გიორგი ცხვედიანმა, საბჭოს გააცნო ფაქტობრივი გარემოებები დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით.

ა) მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პირველი საკითხის „ა“ ქვეპუნქტში მოცემულია იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ჩამონათვალი, რომლებმაც წერილობით დაადასტურეს, რომ წყვეტენ ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას.

ინფორმაცია აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობის შესახებ გამოქვეყნდა ცენტრის ვებგვერდზე, საჯაროობისა და დაინტერესებული მხარეებისათვის აღნიშნული ინფორმაციის მისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცენტრი შუამდგომლობს, დაკმაყოფილდეს ზემოაღნიშნული პირების წერილობითი განცხადებები და გაუქმდეთ ავტორიზაცია ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის მქონე და ავტორიზებულ პირებთან გათანაბრებულ შემდეგ დაწესებულებებს:

- შპს - თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო ლიცეუმი;
- შპს - სკოლა „გიმნაზიის ყვავილი“;
- შპს - დიპლომატიური აკადემია და სკოლა;
- შპს - ვანის არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი სკოლა-ლიცეუმი;
- შპს - „იმედი-2000“;
- შპს - კერძო საშუალო სკოლა „ნათლის სვეტი“;
- შპს - საქართველოს ქართულ-ამერიკული საშუალო სკოლა „რებერ სქული“;
- შპს - ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის სახელობის ფრანგულ-ქართული კოლეჯი;
- შპს - მოსწავლე ახალგაზრდობის სახლთან არსებული პანსიონი „ცვლა“;
- შპს - კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა „სვეტი ნათლისა“;
- შპს - ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი;
- სპს - „მერი ტატიშვილი“;
- სპს - ჯანიაშვილისა და ნატროშვილის ფირმა „სანთელი“;
- შპს - კერძო სკოლა „დავით“;
- შპს - ახალი საგანმანათლებლო ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ცენტრი;
- შპს - ორიენტირი;
- შპს - „სიხარული“;
- შპს - სამედიცინო ინსტიტუტი „პანაცეა“;
- შპს - „დასი“.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა, რომ ამ დაწესებულებების განცხადების საფუძველზე ხდება მათივე სტატუსის გაუქმება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 32-ე მუხლის შესაბამისად, გაუქმდეს ავტორიზაცია შემდეგ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს:

- შპს - თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო ლიცეუმი;
- შპს - სკოლა „გიმნაზიის ყვავილი“;
- შპს - დიპლომატიური აკადემია და სკოლა;
- შპს - ვანის არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი სკოლა-ლიცეუმი;
- შპს - „იმედი-2000“;
- შპს - კერძო საშუალო სკოლა „ნათლის სვეტი“;
- შპს - საქართველოს ქართულ-ამერიკული საშუალო სკოლა „რებერ სქული“;
- შპს - ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის სახელობის ფრანგულ-ქართული კოლეჯი;
- შპს - მოსწავლე ახალგაზრდობის სახლთან არსებული პანსიონი „ცვლა“;
- შპს - კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა „სვეტი ნათლისა“;
- შპს - ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი;
- სპს - „მერი ტატიშვილი“;
- სპს - ჯანიაშვილისა და ნატროშვილის ფირმა „სანთელი“;
- შპს - კერძო სკოლა „დავითი“;
- შპს - ახალი საგანმანათლებლო ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ცენტრი;
- შპს - ორიენტირი;
- შპს - „სიხარული“;
- შპს - სამედიცინო ინსტიტუტი „პანაცეა“;
- შპს - „დასი“.

ბ) მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ავტორიზებული დაწესებულება ვალდებულია, ცენტრს ყოველწლიურად, პირველი მაისიდან 30 ივნისამდე, წარუდგინოს თვითშეფასების წლიური ანგარიში. ამასთან, რიგი სახელობო საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის მფლობელი დაწესებულებების მიერ, რომლებმაც საქართველოს კანონით „პროფესიული განათლების შესახებ“ (მუხლი 40.2¹) მიიღეს ავტორიზებული პროფესიული კოლეჯის სტატუსი, 2011 წლის თვითშეფასების ანგარიში წარმოდგენილი არ ყოფილა.

საბჭოს დღის წესრიგის პირველი საკითხის „ბ“ ქვეპუნქტში მოცემულია იმ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩამონათვალი, რომლებმაც არ შეასრულეს ეს ვალდებულება.

აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზების გარკვევის მიზნით, ცენტრმა წერილობით მიმართა შესაბამის დაწესებულებებს და მოსთხოვა ახსნა-განმარტებების წარმოდგენა, რის შედეგადაც დადგინდა შემდეგი:

4 დაწესებულების (შპს - „დეა“, ა(ა)იპ - „დემოკრატიის ინსტიტუტი“, შპს - „იმიჯ-ცენტრი“, შპს - შავნაბადას აკადემიის სახელობო ცენტრი) მიერ წარმოდგენილი იქნა კორესპონდენცია იმის თაობაზე, რომ დაწესებულება არ განახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსით.

ზეპირი განმარტება საქმიანობის შეწყვეტის თაობაზე გააკეთეს ასევე სს - „თამ“ თბილავიამშენმა და შპს - „ქებაიმ“.

2 დაწესებულების (შპს - „დიმი ჯგუფისა“ და შპს - ოზურგეთის სახელობო საგანმანათლებლო სასწავლებელის) მიერ გაცხადებულ იქნა, რომ მათ სურს სახელობო საგანმანათლებლო პროგრამებზე

ჩარიცხული პირებისათვის სწავლების მიღევად რეჟიმში დასრულება, ხოლო ახალი პროფესიული სტუდენტების მიღებას არ გეგმავენ.

რაც შეეხება შემდეგ საგანმანათლებლო დაწესებულებებს: ა(ა)იპ - ტიხრული მინანქრის ტექნიკის შემსწავლელი კურსები, შპს - სილამაზის სტუდია - „შარდენი“, შპს - „კამარა-კომპიუტერი“/პს პარტნიორ პლას/, შპს - „მილერი და კომპანია“, შპს - „ენ ელ ჯი - ჯგუფი“, შპს - „E.S.R.-2008“ - მათ მიერ ცენტრის წერილის საპასუხოდ არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია.

ხოლო რიგი დაწესებულებებისათვის: შპს - „ალთერა კომუნიკეიშნ“, შპს - „ფლამინგო 2007“, შპს - „სერმა-მენეჯმენტის სკოლა“, შპს - „დელტა სისტემსი“, შპს - იაკობ გოგებაშვილის სახელობის საგანმანათლებლო ცენტრი, შპს - „აიფედიემ სტაილი“, შპს - თელავის დამოუკიდებელი პროფესიული მომზადების ცენტრი, შპს - ოზურგეთის პროფესიული სასწავლებელი, საზოგადოებრივი განვითარების კავშირი „კაბადონი“, შპს - თბილისის ს/მ აგროსაინჟინრო სერვისის ინსტიტუტი - ცენტრის წერილი ჩაბარებული არ იქნა, ვინაიდან აღნიშნული დაწესებულებები აღარ ფუნქციონირებენ საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში მითითებულ მისამართზე.

ინფორმაცია აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობის შესახებ გამოქვეყნდა ცენტრის ვებგვერდზე, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო საჯაროობა და დაინტერესებული მხარეებისათვის აღნიშნული ინფორმაციის მისაწვდომობა.

აქედან გამომდინარე, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი შუამდგომლობს საბჭოს წინაშე, რადგანაც ეს დაწესებულებები ფაქტობრივად აღარ ახორციელებენ საგანმანათლებლო საქმიანობას, საბჭომ განიხილოს მათთვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს სხდომაზე დამსწრეებს, ხომ არ არიან მათ შორის იმ დაწესებულებების წარმომადგენლები, რომლებისთვის სტატუსის გაუქმების საკითხსაც საბჭომ უნდა უყაროს კენჭი.

სხდომაზე გამოცხადდა შპს - „დიმი ჯგუფის“ და შპს - „ოზურგეთის სახელობო საგანმანათლებლო სასწავლებლის“ წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს შესთავაზა ზემოაღნიშნული 2 საგანმანათლებლო დაწესებულებების საკითხის განხილვა იმ საგანმანათლებლო დაწესებულებების საკითხების განხილვის შემდეგ, რომელთა წარმომადგენლები არ ესწრებოდნენ სხდომას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა მომხსენებელს და სთხოვა განემარტა, თუ რა პროცედურები განახორციელა ცენტრმა დაინტერესებული მხარეების ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვის მიზნით. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მათი ჩართვა ადმინისტრაციულ წარმოებაში მნიშვნელოვანია, ვინაიდან ცენტრი გეგმავს ნეგატიური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

მომხსენებელმა, გიორგი ცხვედიანმა აღნიშნა, რომ ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა საჯარო განცხადება. ამის შემდეგ, ყველა დაინტერესებულ პირს დაზღვეული ფოსტით დაეგზავნა წერილობითი შეტყობინება.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, ხომ არ მოხდა ამ დაწესებულებების ლიკვიდაცია. მომხსენებლის განმარტებით, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის მონაცემებით არ დასტურდება, რომ დაწესებულებები ლიკვიდირებულები არიან.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ცენტრმა განახორციელა კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა პროცედურა დაინტერესებული მხარეების ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვის მიზნით.

რევაზ ხოფერიამ აღნიშნა, რომ „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებები განხორციელდა ერთი წლის წინ, ხოლო საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულება“ ძალაში შევიდა 2010 წლის ოქტომბერში. შესაბამისად, ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებას ჰქონდა გონივრული ვადა, რომ პირობები შესაბამისობაში მოეყვანა აღნიშნული ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დებულების 30-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, „ავტორიზებული დაწესებულება ვალდებულია, ცენტრს ყოველწლიურად, პირველი მაისიდან 30 ივნისამდე, წარუდგინოს თვითშეფასების წლიური ანგარიში.“; ამავე დებულების 31-ე მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტის შესაბამისად, ცენტრი უფლებამოსილია შეამოწმოს დაწესებულების შესაბამისობა სტანდარტებთან იმ შემთხვევაში, თუ, დაწესებულება დადგენილ ვადაში არ წარადგენს თვითშეფასების წლიურ ანგარიშს; როგორც საქმის გარემოებებიდან ირკვევა ცენტრმა განახორციელა ავტორიზებულ პირთა მონიტორინგი და შემოწმება ყველა იმ ფორმისა და საშუალების გამოყენებით (დოკუმენტურად, საქმიანობის განხორციელება-არგანხორციელების ფაქტობრივი გარემოების დადგენა და ა.შ.), რომლის ფიზიკური შესაძლებლობაც არსებობდა თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში (ბუნებრივია, როცა უწყებრივი რეესტრის მონაცემებით რეგისტრირებულ მისამართზე ავტორიზებული პირი აღარ არის განთავსებული, მის მიერ თვითშეფასების ანგარიში არ არის წარმოდგენილი განახლებული ინფორმაციით, კორესპონდენცია უკან ბრუნდება, ასეთ ვითარებაში, ფიზიკურად - ფაქტობრივ გარემოებათა გამო ვერ იქნებოდა სრულად დაცული დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ მიიჩნია, რომ საბჭო დებულების 24-ე მუხლის პირველი პუნქტის გ) ქვეპუნქტისა და 32-ე მუხლის საფუძველზე უფლებამოსილია დააკმაყოფილოს ცენტრის შუამდგომლობა. საბჭოს თავმჯდომარის აზრს საბჭოს წევრები დაეთანხმნენ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შემდეგი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის გაუქმების საკითხი:

- შპს - „დეა“;
- შპს - „ალთერა კომუნიკეიშნ“;
- ა(ა)იპ - ტიხრული მინანქრის ტექნიკის შემსწავლელი კურსები;
- შპს - სილამაზის სტუდია - „შარდენი“;
- შპს - „ფლამინგო 2007“;
- ა(ა)იპ - „დემოკრატიის ინსტიტუტი“;
- შპს - „კამარა-კომპიუტერი“ /პს პარტნიორ პლას/;
- შპს - „იმიჯ-ცენტრი“;
- შპს - „სერმა-მენეჯმენტის სკოლა“;
- შპს - „დელტა სისტემსი“;
- შპს - იაკობ გოგებაშვილის სახელობის საგანმანათლებლო ცენტრი;
- შპს - შავნაბადას აკადემიის სახელობო ცენტრი;
- სს - „თამ“ თბილავიამშენი;
- შპს - „მილერი და კომპანია“;
- შპს - „აიეფდიემ სტაილი“;
- შპს - „ენ ელ ჯი - ჯგუფი“;
- შპს - თელავის დამოუკიდებელი პროფესიული მომზადების ცენტრი;
- შპს - ოზურგეთის პროფესიული სასწავლებელი;
- შპს - „E.S.R.-2008“;
- საზოგადოებრივი განვითარების კავშირი „კაბადონი“;
- შპს - თბილისის ს/მ აგროსაინჟინრო სერვისის ინსტიტუტი;
- შპს - „ქებაი“.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 32-ე მუხლის შესაბამისად, გაუუქმდეს ავტორიზაცია შემდეგ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს:

- შპს - „დეა“;
- შპს - „ალთერა კომუნიკეიშნ“;
- ა(ა)იპ - ტიხრული მინანქრის ტექნიკის შემსწავლელი კურსები;
- შპს - სილამაზის სტუდია - „მარდენი“;
- შპს - „ფლამინგო 2007“;
- ა(ა)იპ - „დემოკრატიის ინსტიტუტი“;
- შპს - „კამარა-კომპიუტერი“ /პს პარტნიორ პლას/;
- შპს - „იმიჯ-ცენტრი“;
- შპს - „სერმა-მენეჯმენტის სკოლა“;
- შპს - „დელტა სისტემსი“;
- შპს - იაკობ გოგებაშვილის სახელობის საგანმანათლებლო ცენტრი;
- შპს - შავნაბადას აკადემიის სახელობო ცენტრი;
- სს - „თამ“ თბილავიამშენი;
- შპს - „მილერი და კომპანია“;
- შპს - „აიეფდიემ სტაილი“;
- შპს - „ენ ელ ჯი - ჯგუფი“;
- შპს - თელავის დამოუკიდებელი პროფესიული მომზადების ცენტრი;
- შპს - ოზურგეთის პროფესიული სასწავლებელი;
- შპს - „E.S.R.-2008“;
- საზოგადოებრივი განვითარების კავშირი „კაბადონი“;
- შპს - თბილისის ს/მ აგროსაინჟინრო სერვისის ინსტიტუტი;
- შპს - „ქებაი“.

საბჭოს თავმჯდომარემ მომხსენებელს სთხოვა განემარტა შპს - ოზურგეთის სახელობო საგანმანათლებლო სასწავლებელთან დაკავშირებული გარემოებები, აგრეთვე, აღნიშნული საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელს მისცა შესაძლებლობა, საბჭოსათვის წარედგინა მოსაზრებები. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა თვითშეფასების ანგარიში, რომლის მიხედვითაც დაწესებულება ვერ აკმაყოფილებს ავტორიზაციის სტანდარტებს. ამასთან, დაწესებულება შუამდგომლობს, რომ ცენტრმა მისცეს შესაძლებლობა, მიღევად რეჟიმში განახორციელოს საგანმანათლებლო საქმიანობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სულ რამდენიმე თვე დარჩა სტუდენტებს და ისინი დაამთავრებენ საგანმანათლებლო პროგრამას. ამიტომაც, მისი თხოვნაა საბჭომ მისცეს უფლება, რამდენიმე თვე განახორციელოს საგანმანათლებლო საქმიანობა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს განუმარტა, რომ კანონმდებლობის თანახმად, შპს - ოზურგეთის სახელობო საგანმანათლებლო სასწავლებელი ითვლება ავტორიზებულ

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებად. შესაბამისად, მას ევალება, დაიცვას ავტორიზაციის სტანდარტები.

საბჭოს წევრმა, ლალი ღოდელიანმა აღნიშნა, რომ დაუშვებელია 5 თვის განმავლობაში დაწესებულებამ ასწავლოს ძველი სტანდარტის მიხედვით.

საბჭოს თავმჯდომარემ მხარეს განუმარტა, რომ მისი მოთხოვნა რეალურად გულისხმობს კანონდარღვევით საქმიანობის განხორციელების უფლების მინიჭებას, რისი უფლებამოსილებაც ავტორიზაციის საბჭოს არ აქვს.

დავით კერესელიძემ დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს ჰკითხა, აკმაყოფილებდა თუ არა იმ პირობებს, რაც გათვალისწინებული ძველი კანონმდებლობით.

დაინტერესებული მხარის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მას ლიცენზია მიენიჭა 2010 წელს და მაშინ აკმაყოფილებდა, ხოლო ამ ეტაპზე მისი პირობები არ შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტს. მან განაცხადა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულება ახორციელებს მედდის სახელობო საგანმანათლებლო პროგრამას. ახლა სტუდენტები სწავლობენ იმ პროგრამის საფუძველზე, რომელიც შეესაბამება ძველ სალიცენზიო მოთხოვნებს. დაწესებულებაში სწავლობს მხოლოდ 10 პროფესიული სტუდენტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმომადგენელი შუამდგომლობს კიდევ ერთი სემესტრი მიეცეს სწავლების უფლება.

საბჭოს თავმჯდომარის თხოვნით, მომხსენებელმა დააზუსტა, რომ დაწესებულების პირობების შეუსაბამობა ავტორიზაციის სტანდარტებთან გულისხმობდა, მაგალითად, იმ გარემოებას, რომ დაწესებულებას არ აქვს ვებგვერდი და აქვს მხოლოდ 36 კვ.მ. ფართი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დაინტერესებული მხარის შუამდგომლობის დაკმაყოფილების საკითხი ერთი სემესტრით დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის უფლების გახანგრძლივების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 7

აღნიშნულის შემდეგ, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ოზურგეთის სახელობო საგანმანათლებლო სასწავლებლისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 32-ე მუხლის შესაბამისად, გაუუქმდეს ავტორიზაცია შპს - ოზურგეთის სახელობო საგანმანათლებლო სასწავლებელს.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, სხდომას ესწრებოდა თუ არა შპს - „დიმი ჯგუფის“ წარმომადგენელი. გაირკვა, რომ აღნიშნული საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელი არ ესწრებოდა სხდომას, თუმცა, წარმოდგენილი ჰქონდა წერილობითი მოთხოვნა, რომ საბჭოს მიენიჭებინა დაწესებულებისთვის მიღევად რეჟიმში საქმიანობის უფლება.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შპს - „დიმი ჯგუფის“ საკითხი იყო შპს - ოზურგეთის სახელობო საგანმანათლებლო სასწავლებლის საკითხის იდენტური.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - „დიმი ჯგუფის“ შუამდგომლობის დაკმაყოფილების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 7

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - „დიმი ჯგუფისათვის“ ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-15 მუხლის მე -3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 32-ე მუხლის შესაბამისად, გაუუქმდეს ავტორიზაცია შპს - „დიმი ჯგუფს“.

2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქო „წმინდა მიტროპოლიტ ნაზარი ლეჟავას სახელობის სამტრედიის მართლმადიდებლური სკოლის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქო „წმინდა მიტროპოლიტ ნაზარი ლეჟავას სახელობის სამტრედიის მართლმადიდებლური სკოლის“ წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქო „წმინდა მიტროპოლიტ ნაზარი ლეჟავას სახელობის სამტრედიის მართლმადიდებლური სკოლის“ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სასწავლო წლის ხანგრძლივობა II-XI კლასებისათვის შეადგენს 160 და I და XII კლასებისათვის 140 დღეს, მაშინ როდესაც ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულია 167 დღე II-XI კლასებისათვის, ხოლო I და XII კლასებისათვის - 150. ეს სხვაობა გამოწვეულია სკოლის სპეციფიკით, მართლმადიდებლური დღესასწაულები გამოცხადებულია დასვენების დღეებად, თუმცა განსხვავება აღმოფხვრილია დამატებითი გაკვეთილებით.

საბჭოს თავმჯდომარის თხოვნით წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლამ ჩაატარა დამატებითი გაკვეთილები, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტებით.

1.2 მუსიკა ისწავლება I-VI კლასებში, ხოლო VII-X კლასებში არ ისწავლება, რაც განპირობებულია VII-XII კლასებში გალობის სწავლებით.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ ეს არ იყო არსებითი შენიშვნა, ვინაიდან გალობა შეიძლება განხილულ იქნეს როგორც მუსიკის ერთ-ერთი მიმდინარეობა. თუმცა, მისი აზრით, მიზანშეწონილია დაწესებულებამ გამოიყენოს ის ტერმინი, რომელსაც ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმა, ხოლო სკოლის პროფილიდან გამომდინარე, სილაბუსში ი პროგრამულად გაითვალისწინოს გალობა როგორც ერთ-ერთი მიმდინარეობა, განხრა.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრებას.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტთან დაწესებულების შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და სთხოვა, დაედასტურებინა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი წერილობითი შუამდგომლობა, ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა რაოდენობის 340-ით განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა შუამდგომლობა.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, დაეფიქსირებინა თავიანთი პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. დავით კერესელიძე დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ სკოლას შესაძლებლობა ექნება, მიიღოს 340-ით მოსწავლე.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან დაწესებულების შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქო „წმინდა მიტროპოლიტ ნაზარი ლეჟავას სახელობის სამტრედიის მართლმადიდებლური სკოლის“ ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 340-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქო „წმინდა მიტროპოლიტ ნაზარი ლეჟავას სახელობის სამტრედიის მართლმადიდებლურ სკოლას“ მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 340-ით.

3. შპს - ჩალღარის საგანმანათლებლო დაწესებულების დემირელის სახელობის კერძო კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ შპს - ჩალღარის საგანმანათლებლო დაწესებულების დემირელის სახელობის კერძო კოლეჯის წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლიკა გიორგაძემ, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

საგნობრივი პროგრამები წარმოდგენილი იქნა ორ ენაზე: ქართულად და ინგლისურად. ინგლისურ ენაზე წარმოდგენილი საგნობრივი პროგრამების: მათემატიკის, ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიის, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობაზე ექსპერტები ვერ იძლევიან ზუსტ პასუხს.

საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, ეს საკითხი არ არის განსახილველი ავტორიზაციის ფარგლებში, საკითხი მიეკუთვნება აკრედიტაციის სფეროს. მთავარია, რომ ყველა საგანი ისწავლება, რაც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმით.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

შენობის მეოთხე სართულის დერეფანი ტიხრით გაყოფილია ორ, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ფლიგელად, თითოეულ მათგანს აქვს ცალ-ცალკე ასასვლელი. სართულის ერთ მხარეს გამოკრულია ევაკუაციის გეგმა, ხოლო მეორე მხარეს - არა.

საბჭოს თავმჯდომარის თხოვნით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ევაკუაციის გეგმა უკვე გამოკრულია სართულის მეორე მხარეს.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით

დაწესებულებას ჰყავს 39 პედაგოგი, მათ შორის თურქეთის მოქალაქე 11 პედაგოგის პირად საქმეში მხოლოდ ხელშეკრულებები იყო წარმოდგენილი ქართულ და თურქულ ენებზე, ხოლო კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია იყო თურქულ ენაზე, შესაბამისად, ამ პირთა კომპეტენციის შესაბამისობა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან ექვს იწვევს.

დავით კერესელიძემ დაწესებულების წარმომადგენელს განუმარტა, რომ მასწავლებელთა კვალიფიკაციის დადასტურების მიზნით, აუცილებელია აღიარების პროცედურის განხორციელება. ამისთვის საჭიროა კანონმდებლობით დადგენილი წესით, განაცხადის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, 11 პედაგოგი რომ არ ჩაეთვალოს, საგანმანათლებლო დაწესებულებას მაინც ჰყავს სხვა პედაგოგები საგნების მიხედვით.

დავით კერესელიძემ აღნიშნა, რომ შესაძლებელია 11 პედაგოგის გარეშე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას შეეძლოს საფრთხე. გარდა ამისა, დავით კერესელიძემ წარმომადგენელ განუმარტა, რომ მნიშვნელოვანია, თუ დაწესებულება მიმართავს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და მოითხოვს უცხო ენაზე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას, ვინაიდან უცხო ენაზე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობა.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა საბჭოს თავმჯდომარისა და ცენტრის წარმომადგენლის მოსაზრებებს. ამასთან, აღნიშნა რომ სწავლება არ მიდის მთლიანად უცხო ენაზე, მხოლოდ რამდენიმე საგანში აქვთ ინგლისურენოვანი სახელმძღვანელო.

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და სთხოვა, დაედასტურებინა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი წერილობითი შუამდგომლობა, ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა რაოდენობის 700-ით განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა შუამდგომლობა.

თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ექსპერტები დაეთანხმნენ დაწესებულების პოზიციას და აღნიშნეს, რომ სკოლას შესაძლებლობა ექნება, მიიღოს 700- მოსწავლე.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსების სტანდარტთან დაწესებულების შესაბამისობის საკითხზე და ხმათა უმრავლესობით მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულების დემირელის სახელობის კერძო კოლეჯის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 700-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულების დემირელის სახელობის კერძო კოლეჯს მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 700-ით.

4. შპს - „ნუნუ ავაგუმაშვილის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ირმა ნოზაძემ, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

სასკოლო სასწავლო გეგმა ნაწილობრივ შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. პედაგოგიური საბჭოს 2010 წლის 6 სექტემბრის სხდომის ოქმის თანახმად, „განხილული იქნა ეროვნული სასწავლო გეგმა, რის მიხედვითაც შემუშავდა სასკოლო სასწავლო გეგმის თითოეული პუნქტი, რომელიც დამტკიცებული იქნა პედსაბჭოს სხდომაზე დირექტორის მონაწილეობით“. ოქმს თან არ ერთვის სასკოლო სასწავლო გეგმა.

საბჭოს თავმჯდომარის თხოვნით, ექსპერტმა, რეზო ნინუამ დააზუსტა, რომ ნაწილობრივ შესაბამისობა გულისხმობდა სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილ-ნაწილ არსებობას. ექსპერტის მოსაზრებით, ის უნდა ყოფილიყო ერთი მთლიანი დოკუმენტი.

საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრებით, არ არის აუცილებელი სასკოლო სასწავლო გეგმა იყოს ერთიანი. მთავარია, ის შეესაბამებოდეს ეროვნულ სასწავლო გეგმას. შესაბამისად, შენიშვნა მოიხსნა.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

2.1 დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერითა და საკადასტრო გეგმით, იჯარის ხელშეკრულებით, უძრავი ქონების ტექნიკური პასპორტით, ვიზუალური დათვალიერებით, ასევე საჯარო რეესტრის ვებგვერდზე <http://public.reestri.gov.ge/> გადამოწმებით დგინდება, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი, 2010 წლის 1 სექტემბერს შპს „რეგიალთან“ დადებული იჯარის ხელშეკრულება, ეხება სხვა საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ფართს, კერძოდ, მხოლოდ მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 01.12.04.001.081) და არა იმ ფართს, რომელზეც რეალურად არის განთავსებული სკოლა და დათვალიერებულ იქნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ.

ზემოაღნიშნულ ვებგვერდზე გადამოწმებით, ასევე წარმოდგენილი უძრავი ქონების ტექნიკური პასპორტის შესაბამისად, დგინდება, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზუალურად დათვალიერებული შენობა-ნაგებობა წარმოადგენს N01.12.04.001.055 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ფართს, რომლის მესაკუთრეა ინდივიდუალური ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა „ჩარგალი 79“. დაწესებულების მიერ შენობა-ნაგებობით სარგებლობა არ დასტურდება საჯარო რეესტრის მონაცემებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ 9 წლის განმავლობაში აღნიშნულ შენობაში ახორციელებს საქმიანობას. მისი მოსაზრებით შენობა სკოლას ეკუთვნის. მან წარმოადგინა ხელშეკრულება და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

დოკუმენტაციის გადამოწმებით საბჭომ დაადგინა, რომ სკოლა ფართს ფლობს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2.2 დაწესებულებას 2011 წლის 17 ივლისს დადებული აქვს ხელშეკრულება კერძო კომპანიასთან 12000 (თორმეტი ათასი) ლარის ღირებულების ქიმია/ფიზიკა/ბიოლოგიის ლაბორატორიის შეძენაზე. მიღება-ჩაბარება ჯერ არ განხორციელებულა. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ახალი სასწავლო წლისათვის ლაბორატორიები მოწოდებული იქნება შესაბამისი მხარის მიერ.

საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრებით, ეს ხარვეზი უნდა მოიხსნას დამკვიდრებული პრაქტიკიდან გამომდინარე. 2.3 სკოლის შესასვლელში დამონტაჟებულია უსაფრთხოების 1 კამერა, რომელიც აკონტროლებს მხოლოდ შენობის შესასვლელის პერიმეტრს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა მომხსენებელს და სთხოვა დაეზუსტებინა, შესასვლელში გულისხმობდა გარე, თუ მხოლოდ შიდა პერიმეტრის კონტროლს. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ იგულისხმებოდა შიდა პერიმეტრი.

დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით განმარტა, რომ სკოლამ გააფორმა ხელშეკრულება აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით.

საბჭოს მოსაზრებით, აღნიშნული შენიშვნა უნდა მოიხსნას.

2.4 შემოსული და გასული დოკუმენტაცია აღრიცხულია ერთ წიგნში 2011 წლის 1 მარტიდან. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, მანამდე შემოსული და გასული დოკუმენტების აღრიცხვის წიგნი არ არსებობდა. შემოსული დოკუმენტაცია მოთავსებულია ბაინდერში, თუმცა არ არის დალაგებული თარიღებისა და ნომრების მიხედვით. არ ხდება გასული კორესპონდენციის ასლის გადაღება და შენახვა.

საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, აღნიშნული გარემოებით დაწესებულება არ არღვევს ავტორიზაციის სტანდარტს, ვინაიდან ვიზიტის დროს არსებობდა კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალი. მთავარია, რომ კორესპონდენციის აღრიცხვა ხორციელდებოდა ვიზიტის დროს. საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან დაწესებულების შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით

3.1 საშტატო განრიგთან შეუსაბამობაშია დოკუმენტი, სადაც გაწერილია პედაგოგების რაოდენობა შესაბამისი საგნების მიხედვით. ამ დოკუმენტის თანახმად, სკოლას ჰყავს 36 პედაგოგი. აღსანიშნავია, რომ სკოლას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ისეთ პედაგოგებთანაც, რომელთა სახელი და გვარი არ ფიგურირებს არც პედაგოგთა ჩამონათვალში და არც გაკვეთილების ცხრილში. გვხვდება ისეთი პირადი საქმეც, სადაც უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი საერთოდ არ არის წარმოდგენილი.

3.2 სკოლას ჰყავს ერთი სერტიფიცირებული მასწავლებელი, მასსა და დირექციას შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, იგი ასწავლის ინგლისურ ენას, თუმცა მისივე განმარტებით, მისთვის ინგლისური ენა მეორადი სპეციალობაა (სამ წლიანი სწავლებით) და დიპლომში არ ფიგურირებს, რომ მას მინიჭებული აქვს ინგლისური ენის მასწავლებლის კვალიფიკაცია. მასწავლებლების კვალიფიკაცია ხშირ შემთხვევაში არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. მაგალითად, პირი, რომელსაც დამთავრებული აქვს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი და მიენიჭა ინჟინერ – სისტემოტექნიკოსის კვალიფიკაცია, ხელშეკრულების შესაბამისად, არის აღმზრდელი და რუსული ენის მასწავლებელი. ექსპერტთა ვიზიტის დროს მის პირად საქმეში სხვა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი არ იყო წარმოდგენილი.

გამოირკვა, რომ ჩამონათვალში მითითებულ მასწავლებელთა რაოდენობას აღემატებოდა ფაქტობრივად არსებული მასწავლებლების რაოდენობა, რომელთა არსებობაც დასტურდებოდა შესაბამისი ხელშეკრულებებით.

ამასთან, ერთ - ერთმა პედაგოგმა სხდომაზე წარმოადგინა სერტიფიკატი, რომლითაც დასტურდებოდა, რომ ის ნამდვილად იყო სერტიფიცირებული მასწავლებელი. საბჭომ ეს შენიშვნა მოხსნა.

აღმზრდელის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით, საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კანონმდებლობის მიხედვით არ არის სავალდებულო აღმზრდელს ჰქონდეს უმაღლესი განათლება. შესაბამისად, შენიშვნა მოიხსნა.

რუსულის მასწავლებელთან დაკავშირებით, დაინტერესებული მხარის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იგი მოხსნილია თანამდებობიდან.

სხდომაზე 21:00 საათზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 21:35 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სამსჯელოა მხოლოდ ორი საკითხზე: მატერიალური რესურსის შესაბამისობაზე სტანდარტთან და რუსულის მასწავლებელთან დაკავშირებულ გარემოებაზე. მან ასევე აღნიშნა, რომ საბჭოს სხდომის მომენტისათვის ორივე ხარვეზი აღმოფხვრილი იყო.

საბჭომ მატერიალურ რესურსთან და რუსულის მასწავლებელთან დაკავშირებული გარემოებები არ მიიჩნია ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნების დარღვევად. დავით კერესელიძე დაინტერესდა დაწესებულებაში მოსწავლეთა უსაფრთხოების საკითხით. მხარის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათ შეიძინეს 2 უსაფრთხოების კამერა. კამერები განთავსდება გარე პერიმეტრზე. სპორტულ მოედანთან დაკავშირებით წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ის განთავსებულია სკოლის შენობის გვერდით. ამასთან, დაწესებულებას აქვს ლაბორატორია და ბიბლიოთეკა. მხარემ ასევე აღნიშნა, რომ არსებობს გაფორმებული ხელშეკრულება მანდატურის სამსახურთან.

საბჭომ იმსჯელა ადამიანური რესურსის სტანდარტთან დაწესებულების შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

წარმომადგენელმა იშუამდგომლა მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის 220-ით განსაზღვრის შესახებ. აღნიშნულს დაეთანხმა ცენტრის წარმომადგენელი, დავით კერესელიძე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - „ნუნუ ავაგუმაშვილის“ ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 220-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - „ნუნუ ავაგუმაშვილის“ მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 240-ით.

5. შპს - სკოლა XXI საუკუნის (ს/კ 204418825) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ შპს - სკოლა XXI საუკუნის წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების დირექტორმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - სკოლა XXI საუკუნის თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაწესებულების მიმართ შენიშვნები არ ჰქონია. მომხსენებელმა დამატებით აღნიშნა, რომ სკოლას არ აქვს გაფორმებული ხელშეკრულება სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან.

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა 500 მოსწავლეზე.

თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. დავით კერესელიძემ აღნიშნა, რომ კომპიუტერების რაოდენობის გათვალისწინებით, დაწესებულებას შესაძლებლობა ექნება, მიიღოს 480 მოსწავლე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სკოლა XXI საუკუნის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - სკოლა XXI საუკუნის (ს/კ 204418825) მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 480-ით.

6. შპს - სკოლა XXI საუკუნის (ს/კ 212705438) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

1.1 სკოლამ წარმოადგინა 2010-2011 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც გაწერილია სასწავლო წლიური კალენდარი, სასკოლო საათობრივი ბადე (წარმოდგენილი ბადით და ცხრილით ვერ ირკვევა, რომელი მასწავლებელი ასწავლის კონკრეტულ საგანს). სასკოლო გეგმის მიხედვით, სკოლა სთავაზობს ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ საგანმანათლებლო მომსახურებას: გაძლიერებული ქართული ენა და ლიტერატურა მე-11-მე-12 კლასებში (დამატებულია თითო-თითო საათი), გაძლიერებული უცხოური ენები (რუსული და ინგლისური, ხოლო მე-11-მე-12 კლასებში არჩევით შეუძლიათ გერმანულის შესწავლაც), მუსიკა ინგლისურად მე-7-მე-10 კლასებში და გეოგრაფია მე-12 კლასში (საათობრივი ბადით გეოგრაფიის გაძლიერებული სწავლება არ დასტურდება). სკოლაში არ ისწავლება საგანი სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება, ხოლო არჩევითი საგნებიდან ისწავლება მხოლოდ ერთი არჩევითი საგანი.

საბჭოს თავმჯდომარემ ითხოვა განმარტება გეოგრაფიის გაძლიერებულ სწავლებასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, გეოგრაფიას როგორც ძირითად საგანს დათმობილი ჰქონდა 2 საათი, ხოლო დამატებითი ერთი საათი ტარდებოდა, როგორც აბიტური. ეს უკანასკნელი არ იქნა ასახული საათობრივ ბადეში.

ცენტრის დირექტორის მოადგილემ, დავით კერესელიძემ, დააზუსტა, ხომ არ იყო ეს ტექნიკური ხარვეზი. დაწესებულების დირექტორმა დაადასტურა, რომ ტექნიკური შეცდომა მოხდა. დავით კერესელიძემ, აგრეთვე, დააზუსტებინა სკოლას აბიტურის ყველა მოსწავლე გადიოდა თუ არა. დირექტორის განმარტებით, ყველა მოსწავლე გადის, მაგრამ აბიტური სავალდებულო არ არის.

მუსიკის ინგლისურად სწავლებასთან დაკავშირებით, საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, რა მიზანს ემსახურებოდა აღნიშნული.

დირექტორის განმარტებით, სკოლამ მოიძია სპეციალისტი, რომელსაც განათლება მიღებული აქვს ამერიკის შეერთებულ შტატებში და საგნისადმი მსგავსი მიდგომა სკოლამ შემოიღო, რათა ინგლისურის სწავლება გაეუმჯობესებინა.

საბჭოს წევრის, ანა კლდიაშვილის განმარტებით, თუ მუსიკის გაკვეთილით ვერ მიიღწევა შესაბამისი მიზნები, მაშინ პრობლემა ჩნდება, რადგან მუსიკის გაკვეთილი ფუნქციას კარგავს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საგანთან და სილაბუსთან დაკავშირებით პრობლემა არ იყო, მხოლოდ სწავლების ენა იყო ინგლისური.

სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოების საგნის არსწავლებასთან დაკავშირებით, სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ ეს საგანი ინტეგრირებული იყო გეოგრაფიასთან, რადგან კვალიფიციური მასწავლებლის მოძებნა ვერ მოხერხდა. აღნიშნული ხარვეზი უკვე გამოსწორებული იყო, ვინაიდან საგნის მასწავლებელი სკოლამ უკვე დაიქირავა.

1.2 დაწესებულებას მოდიფიცირებული სასწავლო გეგმის ჩარჩო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის შემუშავებული არ აქვს.

1.3 როგორც ადმინისტრაციასთან საუბარში გამოიკვეთა, მასწავლებლები ინდივიდუალურად, ვერბალურად აცნობენ მოსწავლეებს და მათ მშობლებს შეფასების კომპონენტებს და შეფასების პრინციპებს. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები მხოლოდ ერთ (ქართული ენის) მასწავლებელს ჰქონდა გაწერილი თავის სამუშაო გეგმაში. მასწავლებლებს გაკეთებული აქვთ კომენტარები მოსწავლეთა საკლასო დავალებაზე, აღნიშნულ კომენტარებში გაანალიზებულია მხოლოდ ის, თუ რა ცოდნა და უნარ-ჩვევები აქვს მოსწავლეს. განმავითარებელი შეფასების ფორმა ვერ იქნა წარმოდგენილი.

1.4 სკოლამ სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი ვერ წარმოადგინა.

საბჭოს თავმჯდომარემ მომხსენებელს სთხოვა დაეზუსტებინა მოდიფიცირებულ სასწავლო გეგმასთან დაკავშირებული შენიშვნა. მომხსენებლის განმარტებით, აღნიშნული ეხება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს და დაამატა, რომ დაწესებულებას უნდა ჰქონდეს შემუშავებული ჩარჩო, რომლის ფარგლებშიც, საჭიროების გათვალისწინებით, იმოქმედებს სკოლა.

სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ სკოლაში შეიქმნა სპეციალური გუნდი, რომელიც ახდენს მოკვლევას და თუ იქნება ასეთი საჭიროების მქონე მოსწავლე, შემდგომში შემუშავდება ინდივიდუალური გეგმა. აღნიშნული გუნდის შექმნა და მოკვლევის ვალდებულება ასახულია პედაგოგიური საბჭოს ოქმში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სკოლის დირექტორს და ჰკითხა ზოგადი წესების არსებობის შესახებ. დირექტორის განმარტებით ასეთი წესები სკოლის წესდებაშია.

საბჭოს წევრის დავით კახნიაშვილის განმარტებით, სკოლას უნდა ჰქონდეს მსგავსი გეგმა და მის ფარგლებში უნდა იმოქმედოს.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა სკოლას პანდუსები. ექსპერტის განმარტებით, პანდუსი ექსპერტთა ვიზიტის დროს დამზადდა და სკოლა მას ფლობს.

საბჭო თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა შეფასების ვერბალური ფორმით გაცნობაზე. დავით კახნიაშვილის განმარტებით, თუ სკოლაში არ არის საკომუნიკაციო საშუალებები იმ დონემდე განვითარებული, მაგალითად, არ არის ვებგვერდი, სადაც მსგავსი ინფორმაცია იქნება განთავსებული ან ელექტრონული ჟურნალები, შესაძლებელია ვერბალური ფორმის გამოყენება. ზოგადად, მექანიზმი სკოლას გაწერილი უნდა ჰქონდეს.

ლალი ღოღელიანი დაეთანხმა ზემოაღნიშნულს და დაამატა, რომ ზოგჯერ ვერბალურ ფორმას უკეთეს შედეგი აქვს, ვიდრე სხვა საშუალებებს.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს, განემარტა 1.4. შენიშვნის შინაარსი, კერძოდ, რას გულისხმობდა ექსპერტი მექანიზმის არ არსებობაში. ექსპერტის განმარტებით, მაგალითად, სკოლას ჰქონდა გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც გაწერილი დაწესებულების მიზნები და თუ როგორ აღწევს დასახულ მიზნებს, ის არ ჩანს.

დაწესებულებამ წარმოადგინა სტრატეგიული გეგმა, რომელშიც მიზნის მიღწევის საშუალებები და მექანიზმი გაწერილი იყო, მაგრამ ექსპერტის განმარტებით, აღნიშნული დოკუმენტი ექსპერტებს არ უნახავთ.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

2.1 დაწესებულებას თვითშეფასების ანგარიშში საერთო ფართად მითითებული 610.79 კვ. მ. აღნიშნული ფართის კანონიერი ფლობა დაწესებულებამ, ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში, ვერ დაადასტურა. სკოლის დირექტორმა წარმოადგინა ქირავნობის ხელშეკრულება, რომელსაც 2008 წელს გაუვიდა მოქმედების ვადა და განახლება არ მომხდარა, ხოლო საჯარო რეესტრში სკოლას ფართის ფლობა არანაირი სამართლებრივი ფორმით არ უფიქსირდება.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, როდესაც ხელშეკრულება გაფორმდა 2007 წელს, არ იყო სავალდებულო რეესტრში დარეგისტრირება. დირექტორმა წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლიდანაც ირკვევა, რომ ფართი აღნიშნულ დაწესებულებას იჯარით აქვს აღებული.

2.2 სკოლას არ აქვს სპორტული დარბაზი/აუზი/მოედანი. სკოლის 2011 წლის 29 ივლისის №137 განცხადებით ირკვევა, რომ დაწესებულებამ მიმართა ა(ა)იპ - ქ. ქუთაისის სკოლის გარეშე სასპორტო დაწესებულებების-სკოლების გაერთიანების დირექტორს სპორტ-სკოლაში სპორტული დარბაზის მოხმარებასთან დაკავშირებით. დაწესებულების პასუხი ჯერ-ჯერობით უცნობია.

დაწესებულების წარმომადგენელმა წარმოადგინა იჯარის ხელშეკრულება, რომელიც გაფორმებული იყო ა(ა)იპ - ქ. ქუთაისის სკოლის გარეშე სასპორტო დაწესებულებების-სკოლების გაერთიანებასთან ჭადრაკისა და აერობიკის დარბაზზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დირექტორს 2010-2011 სასწავლო წელს სპორტის რომელი სახეობა ისწავლებოდა სკოლაში. სკოლის წარმომადგენლის განცხადებით ისწავლებოდა მხოლოდ ჭადრაკი, ხოლო სპორტის სხვა სახეობა არა.

2.3 ბიბლიოთეკას არ გააჩნია კატალოგი. ბიბლიოთეკაში არ არის მკითხველთა ბარათები. სკოლას არ აქვს აყვანილი ბალანსზე წიგნები, აგრეთვე, გამოკრული არ არის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რადგან სკოლას არ აქვს ბიბლიოთეკის მუშაობის მარეგულირებელი რაიმე დოკუმენტი. სკოლას არ აქვს ბიბლიოთეკის სამუშაო გეგმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს ზოგადად, იყო თუ არა ბიბლიოთეკა. ექსპერტმა დაადასტურა, რომ ბიბლიოთეკა სკოლას გააჩნდა. დაწესებულების დირექტორის განმარტებით, ბიბლიოთეკის მუშაობის მარეგულირებელი დოკუმენტი სკოლას აქვს, ხოლო ექსპერტის განმარტებით აღნიშნული დოკუმენტი მათ არ წარედგინათ.

2.4 ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სველი წერტილი მოწყობილი არ იყო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის, თუმცა სკოლის დირექტორის განცხადებით, სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობისას გათვალისწინებულია ასეთი საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის მოსასვენებელი ოთახის გამოყოფა და ადაპტირებული სანკვანძის გაკეთება.

სკოლის დირექტორმა წარმოადგინა სურათები, რომლითაც დასტურდება ადაპტირებული სანკვანძის არსებობა.

2.5 სკოლა ფლობს 10 ერთეულ კომპიუტერს, აქედან 7 კომპიუტერი განთავსებულია კომპიუტერულ კლასში (5 დამონტაჟებული, 2 -გაუხსნელ-დაუმონტაჟებელი), 3 ბიბლიოთეკაში (ბიბლიოთეკაში არსებული 3 კომპიუტერი ჩართულია ინტერნეტში, ხოლო კომპიუტერების კლასში მიმდინარეობდა ინტერნეტის შეყვანა). სკოლას არ აქვს კომპიუტერული კლასით საგებლობის წესი.

სკოლას 2011 წლის 21 ივნისს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება “caucasus online”-თან ვებგვერდის მომსახურების თაობაზე, აგრეთვე, სახეზეა აგვისტოს თვეში დომენის საფასურის გადახდის ფაქტურაც, თუმცა, ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში ვერ მოხერხდა ვებგვერდის შემოწმება, რადგან იგი არ მუშაობდა.

დაწესებულების დირექტორის განმარტებით, ვებგვერდი გასწორებულია და მუშა მდგომარეობაშია. გადამოწმდა და დადასტურდა მისი მუშაობა.

საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, ვებგვერდის ფუნქციონირება დაწესებულების ინტერესი უნდა იყოს, რათა საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი იყოს ინფორმაცია სკოლის შესახებ.

2.6 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობის მიწერილობა №1-დან ირკვევა, რომ 2011 წლის ბოლომდე უნდა შემოწმდეს, შეძენილ იქნას და დამონტაჟდეს შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და შემუშავდეს საევაკუაციო გეგმა. ამდენად, ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სკოლას არ აქვს ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი.

დაწესებულებას არ აქვს და, შესაბამისად, შენობაში არ არის გამოკრული ევაკუაციის გეგმა. ამის მიზეზი, დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობაა, ხოლო მისი დამზადება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობის მიწერილობა №1-დან გამომდინარე ევალება აღნიშნულ ჯგუფს. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სკოლა წარმოადგინა საევაკუაციო გეგმა, რომლის დამზადების სამართლებრივი საფუძველი (ხელშეკრულება, სასაქონლო ზედნადები და სხვ.) ვერ დადასტურდა.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტს დააზუსტებინა, იყო თუ არა უსაფრთხოების დაცვისათვის შესაბამისი ინვენტარი სკოლაში. ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებას ინვენტარი არ ჰქონდა.

სკოლის დირექტორი განმარტებით, მიმართეს აღნიშნულ დაწესებულებას და მოსთხოვეს პროცედურების დაჩქარება. დაწესებულების დირექტორმა წარმოადგინა სურათები, რომლითაც დასტურდება აღნიშნული ინვენტარის ფლობა.

ექსპერტის განცხადებით, საევაკუაციო გეგმა სკოლამ წარმოადგინა ექსპერტთა ჯგუფს, რომლის დამზადების დოკუმენტური საფუძვლები ვერ მოიძებნა, კერძოდ, ვინ იყო შემსრულებელი, იყო თუ არა კონკრეტული პირი უფლებამოსილი დაემზადებინა აღნიშნული გეგმა, იყო თუ არა საევაკუაციო გეგმა კონკრეტული შენობის.

დაწესებულებას გააჩნდა 1 სამეთვალყურეო კამერა, რომელიც განთავსებულია ბიბლიოთეკის ოთახში. ამდენად, შიდა პერიმეტრის კონტროლი სრულად ვერ ხდება. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა დამატებით 2 ვიდეოთვალი და სამეთვალყურეო სისტემისათვის საჭირო ინვენტარის შეძენის ხელშეკრულება. აღნიშნული ვიდეოთვალები დამონტაჟდა შენობის გარეთ, რომლითაც ხდება გარე პერიმეტრის სრული კონტროლი.

2.7 მოსწავლეთა ნიშნების ამსახველი წიგნი არ არის დამოწმებული და ჩახურული. სკოლას არ აქვს შესაბამისი წესით დამტკიცებული საქმის წარმოების წესი.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს, თუ რომელ სტანდარტს ეწინააღმდეგებოდა აღნიშნული ხარვეზი. ექსპერტის განმარტებით, სანდო საქმისწარმოების შესახებ არსებულ სტანდარტს.

საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, დამოწმება არის უმთავრესი პრობლემა, რადგან წინაარმდეგ შემთხვევაში ვერ დასტურდება აღნიშნული წიგნის სკოლის მფლობელობაში არსებობა.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით

3.1 სკოლის 2010-2011 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგანმანათლებლო სააღმზრდელო მომსახურებას აწარმოებდა 29 მასწავლებელი. სკოლის პედაგოგების პირადი საქმეებიდან შესწავლილი იქნა 22 პირადი საქმე, დანარჩენი 7 პირადი საქმე არ იქნა წარმოდგენილი, დირექციის განმარტებით ეს პედაგოგები გათავისუფლდნენ სკოლიდან.

სკოლის დირექტორის განცხადებით, გაფორმდა ხელშეკრულებები და აყვანილ იქნა ახალი მასწავლებლები.

სხდომაზე 22:50 საათზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 23:30 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს წევრები საბოლოო პოზიციაზე ვერ შეთანხმდნენ. შეთანხმება მიღწეულ იქნა მხოლოდ ერთ საკითხზე - ხარვეზები არსებობს. თუმცა, აღნიშნული ხარვეზების არსებობაზე არ არის ერთიანი პოზიცია. ამასთან, საბჭოს წევრები შეთანხმდნენ, რომ

ექსპერტს სწორი დასკვნები აქვს გაკეთებული საექსპერტო ვიზიტის დროს. აღმოჩნდა, რომ ბევრი რამ გასწორებულია ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ, რაც სურათს გარკვეულად ცვლის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სკოლა XXI საუკუნის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 3

წინააღმდეგი - 4

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - სკოლა XXI საუკუნეს (ს/კ 212705438) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ მთავარი პრობლემა, რის გამოც მან უარყოფითი ხმა დააფიქსირა, იყო ის გარემოება, რომ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში შეიქმნებოდა ცუდი პრაქტიკა, კერძოდ, დაირღვეოდა ავტორიზაციის დებულება, რომლის თანახმადაც, საბჭო შეზღუდულია ექსპერტთა ვიზიტის დროს გამოვლენილი გარემოებებით. საავტორიზაციო ვიზიტის დროს კი დაწესებულებას ჰქონდა მრავალი ხარვეზი, რომლის 80% მართალია უკვე გასწორებულია, მაგრამ მაინც რჩება სტანდარტთან შეუსაბამოები; თანაც მნიშვნელოვანია ასევე საავტორიზაციო ვიზიტის დროს დაფიქსირებული ხარვეზების და სტანდარტებთან შეუსაბამოების სიმრავლე. თუ დაწესებულება ყველა ხარვეზს აღმოფხვრის და მალევე შემოიტანს განაცხადს, ცენტრი უზრუნველყოფს ვიზიტის სწრაფ დაგეგმვას. მთავარია, რომ ავტორიზაციის ექსპერტებს სტანდარტთან შეუსაბამოები დახვდეს გამოსწორებული.

7. შპს - „განათლება XXI“-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ შპს - „განათლება XXI“-ის წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - „განათლება XXI“-ის თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

1.1 სკოლამ სასკოლო სასწავლო გეგმა ერთიანი დოკუმენტის სახით ვერ წარმოადგინა. სკოლის დირექტორის განმარტებით, სკოლა ხელმძღვანელობს და მომავალშიც იხელმძღვანელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მიწოდებული ეროვნული სასწავლო გეგმით. წარმოდგენილია მხოლოდ ცვლილებები 2010-2011 სასწავლო წლის სასწავლო გეგმის საათობრივ ბადეში, რომლებიც დამტკიცებულია 2010 წლის 26 აგვისტოს პედაგოგიური საბჭოს მიერ. სკოლამ ვერ წარმოადგინა ხედვა ინკლუზიურ განათლებაზე. დაწესებულებას არ გააჩნია სადამრიგებლო პროგრამა, საათობრივი ბადე სრული სახით, გრიფირებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალი, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება, შეფასების პრინციპები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისობის დადგენა სკოლის მისიასთან და ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შეუძლებელია.

საბჭოს თავმჯდომარის თხოვნით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა დაწესებულებას არ აქვს, ვინაიდან სკოლა სარგებლობს ეროვნული სასწავლო გეგმით. სოლას შესრულებული აქვს ეროვნული სასწავლო გეგმის სავალდებულო ნაწილი. ამასთან, რადგან ეროვნული სასწავლო გეგმა არსებობს, სკოლამ განახორციელა მხოლოდ ცვლილებები.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ცვლილებები როგორ განახორციელა დაწესებულებამ ეროვნულ სასწავლო გეგმაში.

წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დამატებით, ეროვნული სასწავლო გეგმა რასაც არ ითვალისწინებს, დადგინდა სკოლის დოკუმენტით.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ სტანდარტი დაწესებულებას ავალდებულებს ჰქონდეს სასკოლო სასწავლო გეგმა, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ეროვნული სასწავლო გეგმა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შეუძლებელი იყო ეროვნული სასწავლო გეგმის შესრულების გადამოწმება, ვინაიდან სკოლას არ ჰქონდა სასკოლო სასწავლო გეგმა.

თავმჯდომარემ წარმომადგენელს განუმარტა, რომ მას შეეძლო ევარაუდა, რომ სკოლამ შეასრულა ეროვნული სასწავლო გეგმა, თუმცა ფაქტი იყო, რომ სკოლას არ ჰქონდა სასკოლო სასწავლო გეგმა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ფიზიკის, სპორტისა და მუსიკის სილაბუსები არ იქნა წარდგენილი.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რა მეთოდით აცნობდა სკოლა სწავლის შედეგებს მოსწავლეთა მშობლებს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გაცნობისთვის იყენებს ვერბალურ ფორმას.

1.2 წარმოდგენილია 10-12 კლასების საგნობრივი პროგრამები, რომლებიც მოიცავს მხოლოდ თემების ჩამონათვალსა და საათობრივ გადანაწილებას (არ არის მიზნები და მისაღწევი შედეგები). სკოლამ ვერ წარმოადგინა ფიზიკის, სპორტისა და მუსიკის პროგრამა. სკოლაში არ მუშაობს სადამრიგებლო პროგრამა (არ ჰყავთ დამრიგებლები), შესაბამისად, არ არის გათვალისწინებული სადამრიგებლო საათი და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საადმინისტრაციო მიმართულებების სამუშაო გეგმა.

1.3 განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის სკოლამ სპეციალური პროგრამა ვერ წარმოადგინა.

1.4 სკოლამ ვერ წარმოადგინა შეფასების სისტემის ერთიანი ხედვა. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეებს აფასებენ სამი კომპონენტით (ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად), იყენებენ განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას. თუმცა, გამჭვირვალობისა და კრიტერიუმების შემუშავების რაიმე სახის დოკუმენტი არ იყო წარმოდგენილი.

1.5 სკოლის დირექტორის განმარტებით, დაწესებულებას სასკოლო სასწავლო გეგმის გაუმჯობესების მექანიზმი შემუშავებული არ აქვს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტთან დაწესებულების შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

2.1 შპს - „განათლება XXI“-ს 2009 წლის 20 აგვისტოს ჩაის, სუბტროპიკულ კულტურათა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის ზუგდიდის საცდელ-საკონსულტაციო ცენტრთან დადებული აქვს ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ჩაის, სუბტროპიკულ კულტურათა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის ზუგდიდის საცდელ-საკონსულტაციო ცენტრი დროებით სარგებლობაში გადასცემს შპს - „განათლება XXI“-ს ქ. ზუგდიდში, თბილისის ქ. №43-ში მდებარე შენობა-ნაგებობის მეორე სართულს (400 კვ. მ.). დაწესებულების დირექტორის, გონერი პაპავას, განმარტებით, შპს - „განათლება XXI“ გადაცემული ფართიდან ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობისთვის გამოიყენებს მხოლოდ 161 კვ. მ.-ს. ხელშეკრულება ძალაშია 2011 წლის 20 აგვისტომდე. აღნიშნული ხელშეკრულება საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არ არის.

საბჭოს თავმჯდომარემ დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს განუმარტა, რომ დაწესებულება არ აკმაყოფილებდა მატერიალურ სტანდარტს ხსენებული ხარვეზის გამო. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მისთვის გასაგები იყო, თუ რატომ არ ჰქონდა დაწესებულებას ფართი იურიდიული თვალსაზრისით. ამის მიზეზი იყო ის გარემოება, რომ ფართი არ იყო რეგისტრირებული საჯარო რეესტრში.

2.2 საკლასო ოთახები განლაგებულია შენობის მე-2 სართულზე. ისინი აღჭურვილია მერხებითა და სასკოლო დაფებით, რომლებიც საჭიროებენ შეკეთებასა და განახლებას. დაწესებულების წარმომადგენელმა ვერ წარმოადგინეს ინვენტარის საკუთრების ან მფლობელობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

2.3 დაწესებულებას ლაბორატორიები არ გააჩნია.

2.4 დაწესებულებას ასევე არ გააჩნია ბიბლიოთეკა.

2.5 დაწესებულებას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის ადაპტირებული გარემო არა აქვს.

2.6 დაწესებულებას სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის საჭირო საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები არ გააჩნია. შპს - „განათლება XXI“-ს კომპიუტერები და ვებგვერდი არა აქვს.

2.7 დაწესებულებაში არ ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი და, შესაბამისად, არ არის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.

2.8 დაწესებულებას შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლის განხორციელებისათვის არა აქვს ვიდეომეთვალყურეობის სისტემა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კონტროლს ახორციელებენ მორიგეობით.

2.9 დაწესებულებას შემუშავებული აქვს სკოლის განვითარების მხოლოდ გრძელვადიანი (ექვსწლიანი) სამოქმედო გეგმა.

საბჭოს თავმჯდომარემ განუმარტა წარმომადგენელს, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა, თუ მხარე საავტორიზაციო განაცხადის წარმოდგენის დროს მოემზადებოდა და სკოლის პირობებს მოიყვანდა ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში.

წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ მან მიიღო წერილი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა ზემოხსენებული ფართის გამოყენების უფლებამოსილება.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით

3.1 მასწავლებლებთან ხელშეკრულებები გაფორმებულია 2011 წლის ივლისამდე. ხელშეკრულებების განახლების შესახებ დოკუმენტი არ იქნა წარმოდგენილი.

3.2 წარმოდგენილი იქნა 10 პედაგოგის პირადი საქმე, 10-დან ორი პირადი საქმეში არ ინახება დიპლომები.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტთან შპს - „განათლება XXI“-ის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - „განათლება XXI“-ის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 7

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - „განათლება XXI“-ს უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

8. შპს - „ერეკლეს“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ შპს - „ერეკლეს“ წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

1.1. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, არ ისწავლება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შემდეგი სავალდებულო საგნები: სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება (მე-4 კლასი); მეორე უცხო ენა - რუსული (მე-12 კლასი); მუსიკა (მე-10 კლასი).

წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ის ახლახანს დაინიშნა დირექტორად. ამიტომ, ვერ შეძლო ყველა ხარვეზის აღმოფხვრა.

საბჭოს თავმჯდომარის თხოვნით, წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საავტორიზაციო განაცხადს მან მოაწერა ხელი.

1.2. სკოლას ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე და არ აქვს ინკლუზიური განათლების განსახორციელებლად განკუთვნილი სასწავლო პროგრამა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლას ჰყავს განსაკუთრებული საჭიროების მქონე ერთი მოსწავლე, რომლის გონებრივი მდგომარეობა ამ ეტაპისთვის დამაკმაყოფილებელია. პირველი და მეორე კლასისთვის პროგრამები შედგენილი იყო, არ არის მხოლოდ მესამე კლასის პროგრამა. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ინკლუზიური სწავლებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსიც არ აქვს სკოლას.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტთან დაწესებულების შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

2.1 შპს „ერეკლე“ ფაქტობრივად ფლობს ქ. წნორში, ერეკლე II-ის ქ. №24-ში არსებულ ფართს. აქვე აღსანიშნავია, რომ დაწესებულება აღნიშნულ ფართს ფლობს შენობის ქირავნობის შესახებ 2002 წლის 15 თებერვლის №1 ხელშეკრულებით (ხელშეკრულება ძალაშია 2011 წლის 1 სექტემბრამდე), რომელიც დადებულია შპს „ერეკლესა“ და შპს „ტექნიკას“ შორის, თუმცა ხელშეკრულება არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში. ამასთან, ხელშეკრულების მიხედვით, შპს „ერეკლე“ წარმოდგენილი მაია ტუხაშვილის სახით, ხოლო შპს „ტექნიკა“ - ელგუჯა ჯალიშვილის სახით, რომელთა იმდროინდელი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ვერც დაწესებულებამ წარმოადგინა და ვერც საჯარო რეესტრის ამონაწერებით დადასტურდა. თავად შპს

„ტექნიკის“ საკუთრების უფლება ქ. წნორში, ერეკლე II-ის ქ. №24-ში არსებულ ფართზე დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი 2009 წლის 17 თებერვლის ამონაწერით საჯარო რეესტრიდან მიწის (უძრავი ქონების) შესახებ, უფრო გვიანდელი ამონაწერი დაწესებულებას არ წარმოუდგენია. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე გადამოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ 2011 წლის 31 დეკემბერს მოხდა ამონაწერის განახლება (საკადასტრო კოდი: 56.04.22.201). განახლებული ამონაწერის თანახმად, შპს „ერეკლესთან“ დადებული ქირავნობის ხელშეკრულება რეგისტრირებული არ არის.

საბჭოს თავმჯდომარის თხოვნით, მომხსენებელმა დააზუსტა, რომ საბჭოს სხდომის მომენტისთვისაც არ დასტურდებოდა, რომ ქირავნობის ხელშეკრულება რეგისტრირებული იყო საჯარო რეესტრში.

2.2 სკოლას არ აქვს სპორტული დარბაზი, აუზი და ან მოედანი.

2.3 სკოლას არ აქვს ლაბორატორია.

2.4 სკოლას ჰყავს 167 მოსწავლე და აქვს 4 კომპიუტერი.

2.5 სველი წერტილები არ არის მოწყობილი. სკოლაში გათბობის საშუალებას წარმოადგენს თუნუქის ღუმელი და შუშა.

წარმომადგენლის განმარტებით, სველი წერტილები რემონტდება. წარმომადგენელმა ასევე დასძინა, რომ სამომავლოდ სკოლა გამოსასწორებდა ყველა ხარვეზს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - „ერეკლეს“ ავტორიზაციის საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 7

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - „ერეკლეს“ უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა 23:59 სთ-ზე.

კახი ყურაშვილი
თავმჯდომარე

ანა კლდიაშვილი
მდივანი